…თველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია · დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი მაისი 5
1921 წ.
№
ფასი 100 მანეთი

…ის მისამართი:
…მებელი კრების ქ. № 6
…ნ. 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 3000 მან.

…მაისის 5 ს საქართველოს მასწავლებელთა სახლში (ყოფილი ქართუ-…დარბაზში) საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც

## …ლოფია გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას
## იტალიის რენესანსი

…ხსენებათა პირველი სერია: I სიტყვა რენესანსი. რენესანსის იდეური …ჭინებს აპოკალიფსისა და ქრისტიანულ მისტიკაში, ხეტარი ავგუს-…ფრანცისკო ასისელი, იოაკიმ ფიორელი. დანტე წინამორბედი იტალ. …სა, ხელმეორედ შობის პირველიდეა წარმართულ ანტიკაში, ოვიდის …ომენზები.
…ტყვა ჰუმანიზმი. იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა ადრერენესან-…ში. ტირანული სამთავროები. ეკლესიის სახელმწიფო და კოლა დი …მედიჩები ფლორენციაში. კოზიმო დე მედიჩი. ჰიერონიმუს სავონარო-…ლიდუმი და საზოგადოება. მოხსენება დაიწყება სწორედ 7 საათზე …ყველას შეუძლია.

## …ტიკური მაისი.

…თავითვე ვამტკიცებდით, რომ
…მშრომელ ხალხს ორი დრო ჰა-
…ის განთავისუფლების და
…მძინების დროში. შრომის
…ქართველმა ხალხმა გამოიტანა
…ველ მაისს და საქვეყნოდ
…თავისი მტკიცე სურვილი ძა-
…მშრომელთა ლაშქართან ერთად
…დაქერისა. 26 მაისს ის გა-
…ქმეში ეროვნულ დროშასაც
…მდიოდეს, რომ ის ეზიდება
…ს ეროვნულ თავისუფლებისა-
…ბრძოლაშიაც.
…ითი არა ამ ორ დროშის
…, ის შედეგია იმ მიზეზთა
…, რომელიც არსებობს კლასო-
…ეროვნულ დროშის შუა. ეს კავ-
…ძლიერად ატიცდეოდა და
…ა განმავლობაში სულით…
…ელთა ძეგლებითაც გაღვი-
…ელთა ჭირით სისხლითაა
…მძლავდე—საერთო ქარ-
…ახასის და დამონებული
…ლა განთავისუფლებისათვის
…ლოზუნგია იმ საიდუმლოზე
…რომლიც ძოკავშირა ჩვენი

…ზე ზღურბლს და როგორც კლა-
…ის შუბის ხელძლია. …
…ის კავშირი ამ ორი დრო-
…მდ, რეწორს და ქვეყნის
…ეს ნე. შეცდომა ეს ორი
…მეორეს დაუპირისპირონ.
…იყო საქართველოში, მათი
…ისტორია ეროვნულ თა-
…წინაამდეგ ბრძოლის ის-
…მოლოდ სიხარულიც სასტი-
…ება პოლიტიკური დიქტა-
…წინაამდეგ სურვილებისა
…აქერდიისა.
…ს მშვენიერი მაისი კიდევ
…ო პოლიტიკურ ჩარჩოე-
…ში; მას ერთის მხრივ საზღვ-
… ბრძოლით ნაფეროლადევი
…ლი მაისი; მეორეს მხრივ
… ბრძოლით აჩუქურთმული
…ვისაც საქართველოში პოლი-
…ობა და შემოქმედება
…უნდა თავისი მოღვაწეობის
…ებით მონახოს ხოლო ვინც

გაჰკადნიერდება და ერთ ერთ ჩარჩოს ხელს ახლის მოსახსნელად, იგი ამით საქართველოდან წასასვლელ გზას გაიხსნის.

არც ორგულ და ორჭოფ დამცველს მოითმენს საქართველოს პოლიტიკური მაისი. ქართველი ხალხის დიდი უპირატესობა მშრომელი ხალხია და ის მოითხოვს პირველი მაისის—შრომის დღესასწაულის უღალატო პატივისცემას; ქართველი ხალხის ეს უპირატესობა ეროვნულ თავისუფლებით სუნთქავს და სულდგმულობს და ის მოითხოვს თავისუფლებით სუნთქავს და სულდგმულობის და ის მოითხოვს თავისუფალ სამშობლოს წმინდა ჰაერის მოწამვლელთა ჯვარზე გაკვრას.

ქართველ ერის პოლიტიკური სამლოცველო წელიწადში მხოლოდ ორჯელ იღება: პირველ მაისს სამოქალაქო ომის ხურდება—ო მომავლის იოსხარიან თავისუფლების, ძმობის, ერთობის ლოდინისად, მეორეჯერ მაისში წმიდა წმიდის შამბურებაა—სამშობლო შვილნი იოსხარიან ეროვნულ ზურბების დამსხვრევის კარაკლისად.

ო ივეჯელ სამლოცველოში შესასვლელად გახსნილდა საქართოე: ვერც ერთ მსახურობაზე ვერ მივლენ ორგულნი და ვერც მოლოდინოდენ „პირფერი ძოასილნი და არა რჩეულნი“.

26 მაისი—რევოლიუციონური აქტია. ის ქართველ ერის სულისკვეთებაა და ვინც 26 მაისის წარსულს მოისპობს, მას უნდა შესძლოს ქართველი ხალხის სულიერი წარსულისაც. მენშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ 26 მაისის აქტის, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ქართველი ხალხის სულის თქმის დაბნობა და მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა ქართველმა ხალხმა 26 მაისს თავისუფლად ამოისუნთქა.

მართალია, მენშევიკები შემდეგ დაეპატრონენ 26 მაისს მაგრამ ეს მათ თავის საქმედ არ მიაჩნდათ, ისინი ამას იძულებით მიღებულ აქტად სთვლიდნენ მათი მიზანი ხათული იყო—ამ გზით სურდათ ქართველ ხალხის სულს და პატრონებოდნენ, მენშევიკებმა მიზანს მიაღწიეს: 26 მაისის აქტზე ჩაბღაუჭებით ისინი თუ სავსებით ვერ დაეპატრონენ ქართველ ხალხის სულს, მისი კანტროლიორები მაინც გახდენ. დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება ქართველი ხალხისა მენშევიზმ-ბოლშევიზმის შეკავების ლიკვიდაციის ხანაა. აქვს ამ ბრძოლასთან რაიმე კავშირი 26 მაის აქტს? რა თქმა უნდა არა. დღეს ბოლშევიზმმა მენშევიზმი დასცა საქართველოში, ეცემა ამით 26 მაისის აქტი? სრულიადაც არა. მენშევიზმი იყო 26 მაისის აქტზე ამოსული სოკო. ბრძოლაში ეს სოკო მოგლეჯა მაგრამ ალვის ხე ქართველი ხალხის ეროვნული სხეულისა ამით არ წაქცეულა, იგი ძველებურად ტან-წერწეტად სდგას და მომავალში კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს.

პოლიტიკურ ქარიშხალის დროს წყალში გადავარდნილმა მენშევიზმა შესძლო საქართველოს ეროვნულ გემზე ამოძრომა და შიგ მოკალათება. რა უყოთ, რომ თავის „გადასარჩენად მენშევიკები გემის კაპიტნობასაც ეწეოდნენ და მის საჭმეიდოობზე გაყვახას სცდილობდნენ. მათი მიზანი, პრინციპი, ძოწამსი არ იყო ამ გემის გადარჩენა, რომელიც მათთვის საშუალება იყო ჩდა ეტყი არაფერი. ვერვს ეგონა და დღესაც ჰგონია, რომ მენშევიკების მიზანი იყო ეროვნულ გემის გადარჩენა და არა საკუთარი თავის უზრუნველყოფა. ნეტარ არიან მორწმუნენი ვეტყვით ჩვენ მათ, მაგრამ … დღეს მენშევიკები მეორე გემში გადასხდნენ და საქართველოს ეროვნული გემი ის ალარაა, რომელიც ბათომის რეიდს ნისლთან ერთად მოსცილდა მენშევიკებით დგვირთმძიმე. საქართველოს ეროვნული გემი დარჩა მის პოლიტიკურ ხავთსაყუდარში და მასზე გაშლილ ეროვნულ დროშას ვერვინ ვერ ჩამოხსნის.

დიდი შეცდომა იქნებოდა, ჩვენ ვიტყვით, გაუსწორებელი შეცდომა მენშევიკებთან ანგარიშის გასასწორებლად იმ გემის დამსხვრევა, რომელსაც ისინი შემთხვევით შეეფარნენ. 26 მაისი ამ გემის იალქანია, მას მენშევიზმთან კავშირი არ აქვს და ვერც ბრძოლის საგანი გახდება. ვინც არ უნდა იყოს საქართველოში სულისუფალი, ქართველ ხალხს მაინც აქვს უფლება, სამღვთო უფლება, 26 მაისის დღესასწაულისა და წელს კიდევ უფრო ბუკიერაზი, კიდევ უფრო გაიხარებული იქნება ქართველ ერის ოლიმპიური ზეიმი.

შ. ნუცუბიძე.

## კომუნისტების ფიცი.

საქართველოს დედა-ქალაქმა ტფილისმა, პირველი მაისობა გადაიხადა. ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ დღეს განსაკუთრებითი გულის-ყურით ელოდა, თუ რას იტყოდნენ. დამოუკიდებელ საქართველოში, ამ სამი წლის მანძილზე, მაისობის ტრადიცია თავისებური შეიქმნა. სარევოლიუციო ლოზუნგებ შორის საქართველოს თავისუფლება უდიდესი მაგიური სიტყვა იყო. ერის აღფრთოვანება, მუშათა პათოსი ეყრდნობოდა ამ დიდ სიტყვას, და საერთაშორისო დღესასწაული ყოველთვის ქართულად გვირგვინდებოდა. ამ სამი წლის განმავლობაში, ტფილისის ქუჩები ქართულ პარადებს ჰხედავდნენ.

მეოთხე მაისობამ კი რუსთაველის პროსპექტზე რუსეთის წითელი ლაშქარი გადაატარა. ამ მხრივ ეს მაისობა არ ჰგავდა წარსულ მაისის დღეებს. და ბუნებრივი იყო ის დაჭიმული ყურადღება, რომელსაც იჩენდა ქართველი საზოგადოება. მას სურდა გაეგო, რა ფიცს დასდებდნენ ახალი მეღროშეები ტფილისის წინაშე. იქნებოდა დაცული თუ არა ის ქართული სტილი, ის ისტორიული აღთქმა, რომელმაც ქართველ მშრომელთა სტიქიაში დაიბუდა, ამ თვალსაზრისით, ყველა თქმულ სიტყვებიდან მოქ. ორჯონიკიძის სიტყვა უნდა იქმნეს გამოყოფილი. ქართულ მაისობის ფორმულამ მის სიტყვაში იპოვნა ადგილი. და საქართველოს მშრომელ ხალხის მოუთმენელ ლოდინს მან გასცა ღირსეული პასუხი. ორჯონიკიძემ კარგად იგრძნო საქართველოს სულისკვეთება. მან ღრმად ჩახედა ჩვენ ერს თვალებში, და იმ კითხვაზე უპასუხა, რაც არ ასვენებს ყოველ კეთილშობილ ქართველს.—„დიახ, ჩვენ პირველ მაისობას ვდღესასწაულობთ, მაგრამ ჩვენ შორის იმყოფება უცხო ჯარი, რუსეთის წითელი ლაშქარი. ეს საქართველოს ღალატს ხომ არ ნიშნავს? არა! მილიონჯერ არა! ამ წითელ დროშების წინაშე ფიცსა ვსდებთ, რომ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, არც რუსეთის და არც მისი წითელი ლაშქრის მხრით არ ელის მცირე რამ დაბრკოლებაც კი. პირიქით, წითელი ლაშქრის მკერდით დაცულ იქნება საქართველოს მიერ ბრძოლით მოპოებული თავისუფლება“-ო. ამ სიტყვით პირველ მაისობას უკვე მიეცა ქართული კოლორიტი. საქართველოში მოსულმა ახალმა ძალამ ამით უკვე სთქვა თავისი სამოქმედო პროგრამა, და საერთაშორისო პროლეტარიატის ლოზუნგთა შორის ერის თავისუფლებაც მოათავსა. ეს გარემოება საქართველოს კიდევ ერთი გამარჯვებაა. სხვა გვარად ამ ახალი ძალის საქართველოში წარმოდგენა შეუძლებელიც არის. კომუნისტების სურვილია ქართველ ხალხს ორგანიულად დაუკავშირდნენ. ამას კი შესძლებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც წითელ დროშასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის დროშასაც მაღლა დაიჭერენ. წინააღმდეგ—მხოლოდ ხელოვნური „წითელი საქართველო“ დარჩება და რევოლიუციის დიდი მიზნებისთვის უსაფუძვლოდ შეუფერებელი იქნება და მავნებელიც. და ჩვენ გვჯერა, რომ მოქ. ორჯონიკიძის ფიცმა ქართველი მასსის სულიერი განწყობილება თავ ისე მისწვდა, და რამდენადაც კომუნისტები ამ ფიცის რეალიზაციას დააჩქარებენ, რამდენადაც მალე დაამორჩილებენ აფორიაქებულ ეროვნულ განცდებს, იმდენად ახლო მივლენ ისინი ხალხთან, იმდენად გაღრმავდება ნიადაგი თანამშრომლობისა და სოციალისტურ შემოქმედებისათვის.

პირველი მაისიდან ქართველ ხალხის თვალი ოცდა ექვსი მაისისკენ გადაექანა. საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით კითხულობს, იდღესასწაულებს კომუნისტები ოცდა ექვს მაისს თუ არა. ჩვენ არ ვიცით რას ჰფიქრობს საქართველოს რევკომი. ის კი ვიცით, რასაც ფიქრობს ქართველი ერი, და ამ ფიქრს რევკომმა დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს.

მოქ. ორჯონიკიძის სიტყვა გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ კომუნისტები ამ დღეს კიდევ ერთხელ მიაგებენ ქართველ ერს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ემსახურებიან, საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოს შეალევენ ძალღონეს, და ყოველგვარ ძალას, რომელიც კი შეეცდება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელის შეხებას, შეებრძოლებიან, მედგრად და შეუპოვრად.

ამ ფიცს ელის ქართველი ხალხი, და ამ მოლოდინით პირველი მაისიდან 26 მაისისთვის ემზადება.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## 1-ლი მაისის დღე

### პროცესიის დახასიათება.

მუშათა და ჯარის აღტაცებული ძახილით დაიძრა წინ საკარნავალო ეტლი. წინ ცოცხალი სურათია, რომელიც გამოხატავდა მსოფლიოს ახლო წარსულში უსაზღვრო ბრძანებელს და მის მოღვაწეობის მეორე მხარეს—მონობას კაპიტალის დაღვრემილი მკაცრი სახე განათებულია მძვინვარე თვალებით. ფირფიტა ტუჩები მოკუმულია და პირი გაშეშებული უძრავი მძიმე სიცილის გამო. მარჯვენა ხელში მათრახია, რომელიც დაშვებულია გამხდარ, დამახინჯებულ, განაწვალებ მუშების ზურგზე, რომელნიც მოხრილან საკაცის ქვეშ, სადაც სდგას კაპიტალი. ამ სიბოლოს მძლე იატონის ფეხებთან დგანან ძეღვი და მღვდელი, მჭიდროთ დაწებებულნი და მაგრა ხელმოხვეულნი. მესაყვირე გაიძახის: კაპიტალი და შრომა შეურიგებელი მტერია. სამარცხვინოთ სცხოის ის, ვინც ლაპარაკობს მათ შერიგებაზე.

არ შეიძლება შევარიგოთ მგელი და კრავი.
მშრომელნო, აი კაპიტალი, როგორ უწოვდებოდა შრომას.
უყურეთ, თავ სუფალ საქართველოს ამხანაგებო და მოქალაქენო:
აი კაპიტალის მონები.
მათი ბედია—ტკივილი და ვაებანი.
მათი ბედია—სიმშილი და სიცივე. ოფლმა და სისხლმა დაჰფარეს მათი ძოხძები.
მათ სახეზეა—ოფლი და სისხლი.
ასეთია ყოველთვის მონების ბედი.
დეე ნურას დროს ნუ იქნება მონობა ჩვენ ქვეყანაში.
გაუმარჯოს თავისუფლებას. გაუმარჯოს თავისუფალ შრომას.

### ოქროს ხბო.

შემდეგ მოდის ეტლი, რომელზედაც ოქროს ხბო სდგას, რომელსაც ბურჟუა სამცეხლურით უკმევს და რომლის ქვეზაც დეკოლტეებიან კურტიზანთა სილამაზე ურცხვად ბრწყინავს და თავხედურად გათხლეშილი და ჩასუქებული ბანკირი.

მესაყვირე ხალხს მოუთხრობს:
ოქროს ხბო კაპიტალის სიმბოლოა, ეს ერთი მისი სახეთაგანია.
ოქროს ხბოს ქურუმები ემსახურებოდნენ.
ოქროს ხბოს წარსულის მონები ემსახურებოდნენ და თაყვან სცემდნენ
ჩვენ დავამსხვრიეთ ოქრო ხბო.
ჩვენ მასხარათ ავიგდეთ იგი,
და ჩვენმა დაცინვამ იგი სრულიად დაამსხვრია.
და ცრემლის მაგიერ, ადგა ბედნიერების და თავისუფლების მსოფლიო— რკინის მსოფლიო.
გაუმარჯოს რკინის მსოფლიოს, შრომის მსოფლიოს, ბედნიერების და თავისუფლების მსოფლიოს.

### მონებმა გაიღვიძეს

შემდეგ კიდევ მოდის სხვა ეტლი. ახალი სურათი:
— მონებმა გაიღვიძეს,
მესაყვირე განმარტავს:
მონებმა გაიღვიძეს.
მათ გაიწოდეს განაწვალები ხელები. საით.
პირველად ზეცისკენ.
მაგრამ ცა სდუმდა.
შემდეგ მეფისკენ.
მეფემ დახვრეტით და სახრჩობელათი უპასუხა.

### მონებმა გამოიღვიძეს

მაშინ მუშები შეკავშირდნენ ორგანიზაციულად და გაიმარჯვეს. ასე იყო ყველგან, ასე იყო ჩვენშიც. აი სურათი

ხელისუფლებისათვის ბრძოლისა. ძველი ქვეყანა მკაცრად ებრძვის ამ ხელისუფლებას, მაგრამ ვერას დააკლებს. შრომა იმარჯვებს. იმარჯვებს ყველგან. მსოფლიოს ახალ მებრძოლების—შრომის—ხელში მძიმე ჩაქუჩია. ძარღვიანი ხელები იცავენ წითელ დროშას გენერალთა ბასრმახვილებისგან.

### შრომის გამარჯვება

**ახალი ეტლი.** შრომის გამარჯვება მოდის საბარგო ავტომობილთა მთელი რიგი, მიძღვნილნი ცალ-ცალკე ნახმოებისადმი. მელითონეთა კავშირის ავტომობილზე მოწყობილია მელითონეთა შრომის გამომსახველი სურათი, შემდეგ მოდის არსენალის ავტომობილი დაზგებით, მბეჭდავთა ავტომობილი და ყველა ამ ავტომობილებზე სწარმოებს მუშაობა; გადაკეცილი აქვთ სახელოები და გამოჩენილია ძლიერი ხელი. მათ მისდევს ტრამვაის პლატფორმა ორკესტრით—შრომის ჰიმნი. მესაყვირეები ხმა მაღლა, მთელს ქალაქს საყვირით აუწყებენ. თქვენ მოისმენთ შრომის ჰიმნს—საუკეთესო თანამედროვე ჰიმნს. ჩვენ ვადიდებთ ჩვენს სიმღერებში და ხელოვნებაში შრომას. ჩვენ გამოვხატეთ ჩვენს სამხატვრო ტილოებზე გამარჯვებული შრომის ნათელი მომენტები. ჩვენ ვაშენებთ ცხოვრებას ფოლადის ჩაქუჩებით და ეს ცხოვრება იქნება ნათელი და ლამაზი. იმღერეთ ჩვენთან ერთად ჩვენი შრომის ჰიმნი. იდღესასწაულეთ ჩვენთან ერთად, ჩვენ შევდივართ შრომის წითელ სამეფოში.

**კავკასიის კომუნა.**

სულ ახალ-ახალი სურათები იშლება განცვიფრებულ ხალხის წინ. მოჯადოებულ მუშა ის წინ მიდის უკვდავი სურათი კავკასიის კომუნა, რომელიც, აღნიშნავს კავკასიის ხალხთა ძმობას და იუსაყვირე ხელ-ახლად მისმართავს ხალხს:

კავკასიის დაჩაგრულ ხალხთა სისხლით და ცრემლით იყო მორწყული მშვენიერ კავკასიის მინდვრები და მთები.

სისხლი იღვრებოდა მეფეების დროს.

სისხლი იღვრებოდა მენშევიკების დროსაც.

ჩვენ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას.

ჩვენ ვიბრძვით ხალხთა ძმობისათვის: ჩვენ შევაერთეთ ხალხთ ერთ მეკობრულ ოჯახათ. კავკასიის კომუნაში ძმური ხალხნი: ქართველები, რუსები, სომხები, მუსულმანები, ყველა ისინი ვინც დაჩაგრულნი იყვნენ, თავისუფლად და ბედნიერათ აშენებენ თავის ცხოვრებას.

გაუმარჯოს კავკასიის ხალხთა ძმობას.

გამარჯვება: და ბოლოს, გამარჯვება, მესაყვირე ხმით აცხადებს: „შრომამ გაიმარჯვა" აღარ არის ცრემლები და სისხლი, აღარ არის ტანჯვა-წვალება, აღარ არსებობენ მდიდრები და ღარიბები.

**გამარჯვება.**

სისხლის ფერი დროშები—ეს სახსოვარი ადამიანის ბედნიერებისათვის დაღვრილ სისხლისა—ირხევიან შრომის ბედნიერ შვილებზე.

განთავისუფლებულია ქალი, ბედნიერი ბავშვი, შევინახოთ და გავამაგროთ მომავლის სხივმფენი კოკორი.

იგი ჩვენია, ჩვენ—ჩვენ პირველი კალატოზები ვართ. გულდაგულ და ვაჟკაცურად შევასრულებთ ჩვენ ჩვენს მოვალეობას.

**ხვლა.**

შორს სადგურის ქუჩაზე გაიმართა კარნავალის სვლა. იგი ბრწყინავს მზეზე ნათელ ფერებით და იწვევს აღფრთოვანებას.

შემდეგ კარნავალებს მისდევენ მუშათა ორგანიზაციების კოლონები: სათავეში რკინის გზელები, შემდეგ მელითონეები, ტრანსპორტის მუშები. მბეჭდავები და სხვა.

ყველაზე წინ ერთი პატარა ჯგუფი მუშებით გარშემორტყმული: ამ ჯგუფში არიან რევკომის წევრები ქართველ კომუნისტების უხუცეს ბელადის ფილიპე მახარაძის მეთაურობით ბაქოდან ჩამოსულ სტუმრებმა, მიუხედავათ დაღლილობისა გადაჭრით უარი სთქვეს ავტომობილით მგზავრობაზე და გადასწყვიტეს ფეხის გავლა მთელს პროცესიასთან ერთად, თავის ამხანაგების მუშების სათავეში.

**აღმოსავლეთის ერთა ძმობა.**

როდესაც სადღესასწაულო სვლა გადადიოდა სადგურის ქუჩიდან ელისაბედის ქუჩაზე, საქართველოს რევკომის წევრებს და აზერბეიჯანის წარმომადგენლებს შეხვდა აღმოსავლეთის ერების საკარნავალო პროცესია გრუზავროსტ-ის აღმოსავლეთის განყოფილების მიერ მოწყობილი პროცესიის თავში მოდიან ოთხი ბედუინი, ცხენებზე მჯდომნი, ფარებით შუბებით და ბებუთებით. ეს ნიშნავს არაბეთს. შემდეგ მოდის სპარსეთი. ურემი მორთული ხალიჩებით, რომელშიაც შებმულია ორი აქლემი და ურემზე ზის არამხანი ქალი. ორი ფიგურა ჯაჭვის პერანგებში, კახვებში, ხმლებით. შემდეგ მოდის ინდოეთი: საბარგო ავტომობილზე სპილო, მის ზურგზე ჯაჭვებით შემოვლებული ქალის ფიგურა და მის თავით თეთრ კასტიუმებში ინგლისელი შოლტით. შემდეგ ოსმალეთი: ურემი აღმოსავლეთის გემოთი მორთული და შიგ შეპმული ორი კამეჩი. გლეხი ნიჩბით და ცელით გლეხის ქალი ჩადრით მოხვეული. წინ ორი გმირი ფიგურები, რომელნიც გამოხატავენ რევოლიუციას. განიერი ქამრები, იარაღ შესხმულნი, ბებუთებით და ხელში კაცის თოფით:

და ბოლო აპოთეოზი: სურათი, წითელი აღმოსავლეთი.

**ხ ვ ლ ა.**

პროცესია დაიძრა. შორს ელისაბედის ქუჩაზე და შემდეგ პლეხანოვის პროსპექტზე გაგრძელებულია პროცესიის თავი. იმ დროს, როდესაც მჭყაპარი და ძლიერი კოლონები პროფკავშირთა იშყოვებოდნენ ჯერ სადგურის ქუჩაზე. გრძელ ნათელ ზოლით გაიჭიმა პროცესია და გაიარა პლეხანოვის პროსპექტით ვორონცოვის ხიდით, პუშკინის ქუჩით და მიაღწია ერევნის მოედანს. ქუჩებს აქვთ იშვიათი სადღესასწაულო სახე. მრავალ რიცხოვანი პლაკატები ფარავენ სახლის ნაცრის ფერ კედლებს, რომლებმაც მიიღეს ბოლოს ძალიად გამოსაცნობი სახე. სიჭაბუკე ძველი ტფილისისა, რევოლიუციონურ დროშათა წითელ საბურველში ქვეშ, ორკესტრთ მშვენიერია.

**ერევნის მოედანზე.**

პროცესიას ხელმძღვანელია ამხ. ბოგდატიევის ინაკაძეებით, პროცესიის ნაწილი საკარნავალო ეტლების მეოხებით ჩერდება ერევნის მოედანზე, სადაც ტრიბუნაზე გაიმართა პირველი მიტინგი. ტრიბუნაზე ადიან ამხ. ნარიმანოვი, ამხ. მახარაძე, საქართველოს რევკომის წევრები და ბაქოდან ჩამოსული სტუმრები. მთელი მოედანი და მასთან მდებარე ქუჩებიც დაგუბებულია მუშათა ორგანიზაციებით. ბალკონები, სახლებში და ყოველმხრივ სდგანან კინემატოგრაფიული აპარატები, რომლის მექანიკოსები განუწყვეტლივ მუშაობენ, რათა სამარადისოდ გახადონ არაჩვეულებრივი და შრომის პირველი დღესასწაული ტფილისში.

**ამხ. ნარიმანოვის სიტყვა.**

საპასუხო მისასალმებელ სიტყვით გამოდის საქართველოსათვის ძვირფასი სტუმარი აზერბეიჯანის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი, რომელიც მიესალმება საქართველოს მუშებს, მთელ კავკასიის მუშებს. და ბოლოს პირველ მაისის დღესასწაულის იდეის და შრომის ბ. ამხ. ნარიმანოვი აღნიშნავს კავკასიის რესპუბლიკების მუშათა ბრძოლას, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ მუშათა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ამხ. ნარიმანოვი აღნიშნავს, რომ ყველა ხელოვნური ზღუდეები—ეროვნული, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური, რომელიც აღმართული იყო კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა შორის, ინგრევა და კავკასიის ერები იცხოვრებენ ძმურად და სოლიდარულად. როგორც დღეს პირველ მაისის დღესასწაულის დროს შეერთდნენ ყველა ეროვნებანი. შეერთდნენ თავიანთ განთავისუფლების სიხარულის აღტაცებით. ასევე შეერთდებიან მომავალშიაც კავკასიის ყველა ერები, რათა გასწიონ წინ კავკასიაში და მთელ მსოფლიოზე სოციალიზმის დასაცავად.

ხანგრძლივი ტაშით იქმნა დაფარული ამხ. ნარიმანოვის სიტყვა. როდესაც დაწყნარდა მღელვარე ამოძახილები, აღმოსავლეთ მუსიკის ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

ამხ. ნარიმანოვის შემდეგ მოკლე მისასალმებელი სიტყვა სთქვა აზერბეიჯანის წითელ ლაშქრის სახელით სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის ამხ. კარაევმა.

სიტყვების დამთავრების შემდეგ მსვლელობა კვლავ დაიძრა რევკომის წინამძღოლობით სასახლის ქუჩით რუსთაველის პროსპექტისაკენ.

**ა ლ ლ უ მ ი.**

გორიატინ. ქუჩით აღმართი სავსე იყო ხალხით. მუშათა სასახლის საუცხოვო შენობა, თითქოს მარმარილოსაგან გამოკვეთილი მზის მილიარდ სხივებით შემოხვეული ბრწყინავს—ირხევიან წითელი დროშები, პლაკატები, სარევოლიუციო ნიშნები, პროლეტარიატის ბელადთა სურათები, ჰკიდია მწვანე ყვავილების გირლიანდები, ხალხის ზღვაა. მთელ გოლოვინის პროსპექტზე მუშათა სასახლეში და ქვევით მზის პირად გამოწკვრივდა ჯარის ნაწილები და ჩრდილო მხარეზე კი პროფორგანიზაციები და საბჭოთა დაწესებულებები როდესაც სასახლის ქუჩაზე გამოჩნდა პროცესიის თავი და რევკომის წევრები გაისმა კომანდა „სმენა". მთელ ქუჩაში პასუხისმგებელ ამხანაგებით გარშემორტყმულმა, გაიარა ხელა საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. მახარაძემ და აზერბეიჯანის მთავრობის მეთაურმა ამხ. ნარიმანოვმა, რომლებსაც სახელოვანი მუშა და გლეხთა დიდი ლაშქრის რაზმები ესალმებოდა მქუხარე ყვირილით.

**ამხ. ჯაფარ-ზადეს სიტყვა.**

ბუხარის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით მიესალმება ამხ. ჯაფარზადე.

მე მოგესალმებით თქვენ ბუხარის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით. მივესალმები პროლეტარიატის დღესასწაულის დიად დღეს, რომელსაც თქვენ პირველად დღესასწაულობთ იმპერიალისტების და მენშევიკების ბატონობის შემდეგ დღეს, მთელ მსოფლიო პროლეტარიატის დღესასწაულის დღეს ჩვენ ვიძახით: გაუმარჯოს აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებს, გაუმარჯოს ამ ხალხთა განთავისუფლებას, გაუმარჯოს III ინტერნაციონალს.

**ამხ. რიგატნერის სიტყვა.**

პროფკავშირების სრულიად რუსეთის ცენტრალურ კავშირის კავკასიის ბიუროს სახელით ლაპარაკობს ამხ. ფიგატნერი.

ამხანაგებო, საქართველოს მუშებო, თქვენ პირველად დღესასწაულობთ 1-ლ მაისს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად. საქართველოს მუშები ჩვენთან ერთად ბევრი წელი იბრძოდა კაპიტალისტთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ ჩვენ ერთად იარაღით ხელში. ამ ბოლო დროს ამიერ-კავკასია მოსწყდა რუსეთის მუშებს. ჩვენ გავგზავნეთ სოლოვი. რუსეთის მუშამ და გლეხმა დაამხო ბურჟუაზია და კაპიტალისტთა ხელისუფლება და ცხრა იქ, რუსეთში, მთელი ხელისუფლება მუშათა და გლეხთა ხელთ არის. იქ მთელი ფაბრიკები, ქარხნები, მთელი მიწა ეკუთვნის ყველა მშრომელთ. 3 წელია პროლეტარული რუსეთი, გარშემორტყმული ბურჟუაზიის ღელვარე ზღვით, გაუმარჯვებული აწარმოებდა ბრძოლას. იყო მომენტები, როდესაც ჩვენ ვფიქრობდით, რომ ძალიან გვიჭირდა, რომ ვეღარ გავუმაგრდებით, მაგრამ სიმართლის ძლიერმა რწმენამ და ჩვენი საქმის სიწმინდემ გამარჯვებისაკენ მიგვიყვანა. ეხლა, რუსეთის მუშებთან, გლეხებთან და წითელ არმიასთან ერთად ჩვენ დავამყარეთ მუშათა ხელისუფლება. 3 წლის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ რუსეთის მუშები და გლეხები ხელ-ახლად შეუერთდნენ თავის თანამოძმე ქართველებს. ამ ერთად ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

გაუმარჯოს რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის გაერთიანებულ ბრძოლას. გაუმარჯოს ყველა ხალხის კომუნისტურ კავშირს. გაუმარჯოს კავკასიის პროფკავშირებს, რომელიც ხელ-ხელ ჩაკიდებული მიდის რუსეთის პროფესიონალურ სრულიად კავშირთან. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

ამ სიტყვით დასრულდა მიტინგი მუშათა სასახლესთან. და მიტინგი გადატანილ იქმნა სახელ. ოპერის თეატრთან.

(შემდეგი იქნება)

## პარტიაში

სოც.-ფედერალისტთა პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი მართავს მოხსენებას რაიონებში და დარგებში. მოხსენების თემა: „26 მაისი და ქართველი ერი" მომხსენებლებია ვ. კოტეტიშვილი და შ. ნუცუბიძე. ინსტრუქციების მისაღებად უნდა გამოცხადდნენ „სოციალ-ფედერალისტის" რედაქციაში შემდეგი დარგების და რაიონების წარმომადგენელნი: ტრამვაის, რკინის გზის, ნაძალადევის, ფოსტის, კოოპერატივების, ფარმაცევტების, რკინის გზის მთავარ სახელოსნოსი, მეტყევეების, სტუდენტების, ჩუღურეთის მასწავლებლების, ნაძალადევის, ლითონზე მომუშავეების, მკერვალების და სტამბის წარმომადგენლების გამოგზავნა სავალდებულოა.

## ახალი ამბავი

— სახალხო სახლში, კვლავ განახლდა ქართული წარმოდგენები. მიღებულია ზომები დასის გასაძლიერებლად, რეჟისორმა ალ. წუწუნავამ აღუთქვა დასს უახლოესს. ხელმძღვანელობა. 5 მაისს წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და შაბათს, 7 მაის „მახვერპლი"

## საქ. ს.-ფედ. სარ. პარტიის მთავარ კომიტეტის რეზოლუცია მომენტზე.

საქართველოს სოც.-ფედ. სარ. ეგ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა მომენტის შესახებ აპრილის 26 გამოიტანა თერთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ შემდეგი რეზოლუცია:

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარმა კომიტეტმა იმსჯელა მიმდინარე ა. წ. 11 თებერვლიდგან შექმნილ მდგომარეობაზე და აღნიშნავს რა, რომ იგი სავსებით სდგას იმ პლატფორმაზე, რომელიც გამოხატულია მეხუთე თავისუფალ კონფერენციის რეზოლიუციაში და იდგა რა ამედგილობაში:

1) რომ ქართველ ერის სურვილის წინააღმდეგ მაინც მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის მესამე წლის მყაიოლებული მოტ-კება საბჭოთა რუსეთის ჯარების, რის შედეგადაც საქართველო იმ ქამად იმყოფება საოკუპაციო მდგომარეობაში;

2) რომ მიუხედავად ასეთი ღრმა ცვლილებისა საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობაში, საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით საქართველო კვლავ სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რადგან თავის დეკლარაციაში არ უარჰყოფს არსებული საბჭოთა ხელისუფლებაც;

3) რომ საქართველოს მდგომარეობა საერთოდ და მისი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთან არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას საქართველოს მშრომელი ხალხის თავისუფალ ნებისყოფის გარეშე;

2) რომ საქართველოს სოციალური სტრუქტურა, როგორც სოფლის წვრილი მესაკუთრეთა ქვეყნისა შეიძლება მხოლოდ მშრომელ ხალხის ბატონობას;

5) რომ საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში, პარტიას მისაღებად მიაჩნია საბჭოთა სისტემა, რადგანაც ამ საშუალებითაც შესაძლებელია მშრომელთა ხალხის ინტერესების დაცვა.

პარტია საჭიროდ სთვლის:

1) აღდგენილ იქნას სუვერენულ სახელმწიფოს ელემენტები: უცხო ჯარის მაგიერ საკუთარი ჯარის შექმნა, დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიის მთლიანობისა და მისი საზღვრებისა. აღდგენა საგარეო წარმომადგენლობისა, მტკიცედ დაცვა სინამდვილეში სახელმწიფო ენის უფლებისა, საკუთარი ეროვნული ეკონომიური ფინანსიურ სისტემის შექმნა, საკუთარი ადმინისტრაცია და სხვ.

2) მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით წარმოებულ ბრძოლაში საქართველო უკვე ჩარეულია, პარტიას საჭიროდ მიაჩნია წარმოება ისეთი პოლიტიკისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ქართველი ხალხის ფიზიკურ განადგურებისაგან გადარჩენა.

3) პარტია ამასთანავე უარჰყოფს ყოველგვარ საბოტაჟს, როგორც ქართველი ხალხის მავნებელს და მოუწოდებს ამხანაგებს, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამოუკიდებელი ეროვნული რესპუბლიკის [illegible] და ისეთის, რომელიც ექნება პოლიტიკური [illegible].

მინაწერი: ამ რეზოლიუციის წინააღმდეგია არა ორი წევრი მთავარი კომიტეტისა, არამედ ყველა წევრი მთავარი კომიტეტისა, რომელნიც შედიან დროებით მთავარ კომიტეტში და რომელთაც რეზოლიუცია მიღებულია 10 მარტის შეერთებულ კრების მიერ, რომლის ნიადაგზე პარტიულ მუშაობას აწარმოებს დრ. მთავარი კომიტეტი.

დრ. მთავარი კომიტეტი.

## სახალხო სასურსათო კომისარიატის სარძეო სექციის მოღვაწეობა.

სახალხო სასურსათო კომისარიატის სარძეო სექციის დამზადებული მუშაობა დაიწყო ამ წლის 18 მარტს და მუშაობის შედეგი იყო ის, რომ 22 მარტიდან სახალხო სასურსათო კომისარიატის მისამართით ყოველ დღე შემოდიოდა 50 ვედრო რძე; ეხლა დღეში შემოდის 200 ვედრო რძე არის ბუნებრივი, კარგი თვისებისა და 14 აპრილიდან იგი ღირს—„კრუჟკა"—250 მანეთის ნაცვლად—150 მან.

რძე საწილდება საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, პირველ რიგში რძე ეძლევათ ავადმყოფებსა და ბავშვებს. მუშების ბავშვებს 3 წლამდის რძე ეძლევათ სრულიად უფასოდ პროფესიონალურ კავშირთა საშუალებით, ხოლო დარჩენილი რძე ეძლევა მცხოვრებლებს განსაკუთრებით ავადმყოფებს ექიმის მოწმობით და ბავშვებს 3 წლამდის სახლის კომიტეტების მოწმობით. რათა წესიერათ იქმნეს დაყენებული ბავშვებისა და ავადმყოფთათვის რძის მიცემის საქმე, მოწვეულია სამუშაოთა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელი. ამას გარდა რძის შესაგროვებელ ცენტრალურ პუნქტში ეწყობა რძის საამხანაგო „წვეთი რძე", რისთვისაც ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების დედათა და ბავშვთა დაცვის ქვეგანყოფილებამ—გამგზავნა განსაკუთრებული წარმომადგენელი.

რძესთან ერთად მზადდება აგრეთვე სხვა რძის პროდუქტებიც. სახალხო სასურსათო კომისარიატის მისამართით უკვე მოვიდა ყველისა და რძის პირველი პარტიები.

დაწესებულების ყველა მოთხოვნილებანი უნდა იქნას გაგზავნილ სარძეო სექციაში არა უგვიანეს პარასკევისა, რადგანაც განაწილება რძისა მთელ კვირით ადრე წარმოებს.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.


**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მიცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. პოლიკარპე გორგაძე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 934

**დაიკარგა** უკანასკნელ ომის დროს სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული (№ არ მახსოვს) სტუდ. სიბრძ. ფაკულტ. ფაკულ. [illegible] ნიკოლოზის ძე [illegible] სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 936

**დაიკარგა** ტფილისის მე-6 ვაჟთა ქართული გიმნაზიის 1920 წელში მიცემული ატესტატი ალექსანდრე გიორგის ძე ზოლდასტანიშვილის სახელობაზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 935

**დაიკარგა** სახლის წიგნაკი პირველ განაპირის ქუჩისა № 17, ალხანაშვილის სახლი და პასპორტი ამავე სახლში მცხოვრებ ალექსანდრა გიორგის ასულ წამალაიშვილის სახელობაზე ადგილი. 937

**დაიკარგა** ძე დათაკომი თედორე ბეილმა პასპორტი ჯარისკაცობის ქაღალდი და შრომის ბირჟის წიგნაკი, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 938